

ქალაქის ფსიქოლოგია

ყველა ქალაქს აქვს საკუთარი ნარატივი, რომელიც მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ გვიამბობს. თბილისის შესახებ თხრობა მულტიკულტურული ტრადიციების გახსენებით იწყება. საუკუნეების განმავლობაში აქ სხვადასხვა ენის, რელიგიის, ტრადიციის მატარებელი ჯგუფები თანაარსებობდნენ, რომელთაც თბილისური კულტურა აერთიანებდათ. ქალაქი მათი ინტერაქციისა და იდენტობების გადაკვეთის ადგილს წარმოადგენდა. მრავალფეროვნების პატივისცემა თბილისის იდენტობის ცენტრალური ელემენტი იყო.

ეს ამბავი წარსულზეა, ძველი თბილისის მონატრებაზე, რომელიც დროთა სვლის მიუხედავად, ტექსტიდან-ტექსტში გადადის. ამ ამბების მოსმენისას თვალწინ კონკრეტული სურათები გვიცოცხლდება: ყარაჩოღელი და კინტო, აღმოსავლური სტილის ქარვასლები, ღუქნები და მეიდნისკენ მიმავალ ქუჩებზე მოთუხსუხსე ხალხი, რომლებიც, ძირითადად, ვაჭრობა-ხელოსნობით ირჩენდნენ თავს.

გლობალიზაციამ განსხვავებული ჯგუფების თანაარსებობა თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილად აქცია, ამიტომ მრავალფეროვნების პატივისცემა ამა თუ იმ ქალაქის უნიკალური მახასიათებელი აღარაა. თბილისსაც სჭირდება საკუთარი თავის კრიტიკულად დანახვა და გადააზრება იმისა, თუ როგორია მისი იდენტობა და ხასიათი დღეს, როგორ ზემოქმედებს ქალაქი მოსახლეობის მენტალურ ჯანმრთელობაზე და ა.შ.

ქალაქის იდენტობა და ხასიათი

ინდივიდების მსგავსად, საკუთარი იდენტობა ქალაქებსაც აქვთ. გასულ საუკუნეში ამგვარი განაცხადის ადევკატურობა საეჭვო იქნებოდა, თუმცა ურბანული ფსიქოლოგიის განვითარებამ და თანამედროვე კვლევებმა მისი რელევანტურობა დაადასტურა. წარსულის მესხიერებასთან და კულტურულ ტრადიციებთან ერთად, თანამედროვე არქიტექტურა და დიზაინი, ეკონომიკური აქტივობა და ინოვაციური ტენდენციების გათვალისწინება ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც დღეს უნიკალურს ხდის ქალაქებს, აყალიბებს მათ განაცხადს საკუთარ თავზე და ადგენს ამ ქალაქების ადგილს თანამედროვე სამყაროს კულტურულ რუკაზე. ქალაქის იდენტობა არის როლი, რომელსაც ის საკუთარი მოსახლეობის წინაშე, შემდეგ კი გლობალურ სამყაროში ასრულებს.

იდენტობის განვითარებისთვის ქალაქებს საკუთარი ხასიათი სჭირდებათ. ესაა მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც მოსახლეობის თვალში კონკრეტული სახის აღქმებს და ემოციებს აძლევენ სტიმულს. ჩარლზ ლენდრის და კრის მიურეის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ აჩვენა, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან უნიკალური მახასიათებლებით, რომელთა ერთობლიობას ავტორებმა „ქალაქის ხასიათი“ უწოდეს. მაგალითად, პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი, მისი მოსახლეობის შეფასებით, იმპროვიზაციებით გამოირჩევა და წარსულისკენ იყურება; გერმანიის დედაქალაქი ბერლინი ჩაკეტილია და მკაფიო კომუნიკაციის სტილი აქვს არჩეული; ესპანეთის ქალაქი ბილბაო მუდმივად ავლენს ახალ ინიციატივებს, თუმცა ნაკლებად თვითკრიტიკულია. იმავე პრინციპით, პარიზი რომანტიკულ ქალაქად მიიჩნევა, ნიუ იორკი – უძინართა სამოთხედ, ტოკიო – ინოვაციების ცენტრად და ა.შ.

ქალაქების გავლენა მენტალურ ჯანმრთელობაზე

მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 50% ქალაქში ცხოვრობს. ურბანული გარემო წარმატების მიღწევის მაღალ შანსთან ასოცირდება, რის გამოც სხვა ტიპის დასახლებებიდან – ქალაქებში მიგრაცია საკმაოდ მაღალია.

დღეისათვის ქალაქის ოპტიმალური მოწყობის შესახებ სხვადასხვა კონცეფცია არსებობს, მაგალითად: ჭკვიანი ქალაქი, მწვანე ქალაქი, კულტურის ქალაქი. ბოლო წლებში ამ ჩამონათვალს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ჯანსაღი ქალაქის კონცეფციაც შემატა, რაც ადამიანის მენტალურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე გათვლილი დასახლებების შექმნას ითვალისწინებს.

საქალაქო ცხოვრების მრავალმხრივი, კონცეპტუალური გადაზრებისა და ურბანული კვლევების სფეროში შექმნილი ანგარიშების მიუხედავად, ამერიკელი ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ „მთის გორილების საცხოვრებლებზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე საკუთარზე“. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ ქალაქების შესწავლისა და დაგეგმარების პროცესში ფსიქოლოგების ჩართულობა დაბალია.

ქალაქის გარემო კონტრასტულ ადგილებს აერთიანებს. აქ თავმოყრილია ბიზნეს ორგანიზაციები, გასართობი და დასასვენებელი სივრცეები, კულტურული ჰაბები, კვების ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, დაფები სარეკლამო ბანერებით და სხვ. ეს ადგილები სატრანსპორტო ქსელითაა დაკავშირებული. ტრანსპორტი ხშირად მგზავრებით, გზები კი საცობებითაა გადატვირთული. გადაადგილება, განსაკუთრებით პიკის საათებში, დროის უკმარისობის შეგრძნებას იწვევს, რაც, ფსიქოლოგების ვარაუდით, ქრონიკულ სტრესთან ასოცირდება და უფრო მძიმე კვალს ტოვებს ინდივიდებზე, ვიდრე მაღალი სიმწვავის და ინტენსივობის, ერთჯერადი სტრესული მოვლენა.

ქალაქის ცენტრში, გარეუბნებთან შედარებით, სიმჭიდროვე დიდია, არქიტექტურა კი უფრო მასიური და მასშტაბური. ეს ადგილები ქალაქის მოსახლეობას იზიდავს. მათ სიახლოვეს მუდმივად გვხვდება ადამიანთა ჯგუფები, დამახასიათებელი ხმაურით, სიჭრელით და ჩოჩქოლით.

ქალაქის გადატვირთვა მნიშვნელოვნად მოქმედებს ინდივიდის მენტალურ მდგომარეობაზე. 1960-იან წლებში, საფრანგეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინდივიდებს, ცხოველების მსგავსად, ტერიტორიულობის განცდა ახასიათებთ. თუკი შემოსაზღვრულ სივრცეში, ხანგრძლივი დროით, ერთსა და იმავე ინდივიდებს შორის სიახლოვე 10 კვ.მ.-ზე ნაკლებია, ჯანმრთელობის პრობლემები იჩენს თავს.

სიმჭიდროვე და ხალხმრავლობა მენტალურ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის თითოეულ დასახლებაში არსებობდეს განტვირთვის სივრცეები – გაშლილი, გამწვანებული პერიმეტრები ცის ხილვადობით, დაბალი ჯებირებით, ან მის გარეშე, სადაც მოსახლეობა დასვენებას, მოდუნებას, საკუთარი ტერიტორიულობის განცდას და ემოციური ბალანსის აღდგენას შეძლებს.

გამწვანება მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მწვანე არეალების არსებობა, რაშიც დეკორატიული მცენარეებიც მოიაზრება, აუმჯობესებს ჰაერის ხარისხს და ამცირებს ხმაურს. მათ აქვთ ყურადღების მიპყრობის და შენარჩუნების რესურსი. დიდ ქალაქებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ უბნებში, რომლებიც გამწვანების ნაკლებობას არ უჩივის, მოსახლეობას ნაკლებად აწუხებს ძილის პრობლემები.

გარდა ამისა, მწვანე სივრცეს შეუძლია ვიზუალურ-წარმოსახვითი სტიმულირება, რაც ხელს უწყობს მოდუნებას, კომფორტის შეგრძნებას, არტერიულ წნევის დაბალანსებას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ადამიანები, რომელთა ხედვის არეალში მწვანე პეიზაჟები ყოველდღიურად, ხანგრძლივი დროით შემოდის, ნაკლებად მწვავედ აღიქვამენ ცხოვრებისეულ სიტუაციებს და სტრესის მიმართ ძლიერი მედეგობა აქვთ.

მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია ესთეტიკა. ვიზუალურად მიმზიდველი არქიტექტურა, სკულპტურები, შადრევნები, საჯარო ხელოვნების ნიმუშები ქალაქის იდენტობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ბოლო წლებში ფსიქოლოგები საუბრობენ მურალის პოზიტიურ ეფექტზეც. ხასხასა ფერები, ვიზუალური თხრობა და მოქალაქეებისთვის ნაცნობი სიმბოლოები ახალისებს წარმოსახვას და სტიმულს აძლევს კრიტიკულ აზროვნებას. ასე რომ, საჯარო ხელოვნება თანამედროვე ქალაქებში სტრესული საკითხების ემოციური გადამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობი ინსტრუმენტია.

ქალაქის ესთეტიკური ელემენტები, გარკვეულწილად, კუთვნილების განცდას აჩენს იმ ადგილებთან მიმართებაში, სადაც ისინია განთავსებული. ამ ელემენტებს მესხიერება ირეკლავს და საკუთარ საცავებში აბინავებს, საჭირო დროს კი ისეთი სახითა და ფორმით აღადგენს, როგორც ჩვენ აღვიქვით და დავინახეთ.

„იდენტობის თეორიის“ მიხედვით, ადგილები, სადაც დროის დიდ ნაწილს ვატარებთ, ღრმა ემოციურ და ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე, შეგრძნებებზე, კუთვნილებაზე, მიზნებსა და ცხოვრების მნიშვნელობაზე (ან მის ნაკლებობაზე).

ნაცნობი ადგილები განსაკუთრებულ აქტუალობას ემიგრაციისას, ასევე იმ დროს იძენს, როდესაც ისინი დეკონსტრუქციის მსხვერპლი ხდება და ძველ უბნებში გავლისას ვეღარ ვპოულობთ. ქალაქის სცენიდან მათი გაქრობა დანაკარგის შეგრძნებას აჩენს. ადგილების დაკარგვით საკუთარ წარსულთან სიახლოვის შეგრძნებას ვკარგავთ – დროის ხაზზე ერთად განლაგებულ წარსულს, აწმყოს და მომავალს ვიღაცის უხილავი ხელი აჭრის იმ მოგონებებს, რომლებიც ამ ადგილებთან გვაკავშირებდა.

ძველი ადგილების დაკარგვა ყველაზე მტკივნეული მაშინაა, თუკი ისინი აღქმულია სახლის ნაწილად, სადაც ბავშვობა გვაქვს გატარებული. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს წარმოსახვაში მუდმივად არსებობს სახლი, როგორც მყდრო და კომფორტული ადგილი, რომელსაც ვეკუთვნივთ. ეს შეიძლება იყოს ძველი სახლი, ან ადგილი, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ. ორი სივრცე ხშირად ეჭაჭვება ერთმანეთს და რომელიმეს გაქრობა გლოვის მსგავსი ემოციების სტიმულაციას უწყობს ხელს.

თბილისის იდენტობა და ხასიათი

თბილისი საკუთარ თავში აერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ ელემენტებს, რომელთაც, საუკუნეების განმავლობაში, ახალ სინთეზურ ფორმებს დაუდეს სათავე. აქ შეხვდებით ირანული არქიტექტურის სტილში ნაგებ აბანოებს, ევროპაში გავრცელებული სხვადასხვა სტილის მიბაძვით ნაშენი თეატრებს და ოპერას, მოხატულ და მოჩუქურთმებულ სადარბაზოებს, შერეული სტილის მუზეუმებს და საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ, მძიმე, მასიურ ნაგებობებს. თბილისის იდენტობა ჭრელია, მისი ხასიათი კი კონტრასტული. თბილისის ახასიათებს ქაოსურობა, წინააღმდეგობრიობა – ტრადიციების დაცვა და ინოვაციების მიღება, ფავორიტიზმი – გარეუბანთან შედარებით, უპირატესობის ცენტრისთვის მინიჭება.

ადგილობრივ მოსახლეობაში ხშირად გაიგონებთ სევდიან ფრაზებს ძველი სამეზობლოების, თბილისური ურთიერთობების, კოლორიტული ადგილების შესახებ. ეს მესხიერება საბჭოთა წარსულიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქალაქის მასობრივი განაშენიანება, უდაბური სივრცეების ურბანულ ცენტრებად გადაქცევა და პროფესიებთან დაკავშირებული დასახლებების გაჩენა. XIX საუკუნის ქალაქი თანდათან შეიცვალა და რუსი, თუ ევროპელი არქიტექტორების მოდერნული ტიპის შენობა-ნაგებობის გვერდით, საბჭოური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი საწარმოო დაწესებულებები და „ხრუმოვკები“ წამოიშალა.

ფეოდალური სოციალური გახლეჩა, დროებით, მუშათა დომინაციამ, შემდეგ კი კაპიტალისტურმა უთანასწორობამ ჩაანაცვლა.

ახალი დროება და ტრავმული მოვლენების ციკლი საკუთარ თავზე ქალაქმაც იგრძნო. ნატყვიარები მთავრობის სახლზე და მიმდებარე ტერიტორიაზე უფრო მეტს ამბობდა ერის მენტალურ მდგომარეობაზე, ვიდრე ტექსტები, რომლებიც ამ მდგომარეობის გამოსახატად დაიწერა.

ამ რთულ პერიოდს მოდერნიზაციის ახალი ხანა მოჰყვა და თბილისის პოსტმოდერნული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი არაერთი შენობა, ქუჩა და სკულპტურა შეემატა. თუმცა, ცვლილებები იკონოკლაზმის თანხლებით, ძველის სრული უარყოფის და ახლის გაფეტიშების გზით წარიმართა – სწრაფი რეფორმების გამო, ქალაქმა დაკარგა კულტურული რესურსი, რომელსაც, შესაძლოა, მუზეუმში დაედო ბინა და ტურისტების მოზიდვის ახალი წყარო გამხდარიყო.

ამ პერიოდს თან ახლდა დისკუსიები ქალაქის იდენტობასა და ხასიათზე. წარსულის მონატრებაში ჩაკარგული მოქალაქეები ძველი ქალაქის ნგრევებზე ჩიოდნენ, მომავლის პროექტებზე კონცენტრირებულნი – ახალი ქალაქის დაბადებას აღნიშნავდნენ, თბილისის კი, ყველაზე მეტად, შესვენება და ურბანული დაგეგმარების გადაზრება სჭირდებოდა.

ურბანიზაციის არნახული ტემპი უფრო და უფრო მეტ ადამიანს იზიდავს ქალაქში; იზრდება სიმჭიდროვე და საცობები, იმატებს აგრესია და ხშირდება კონფლიქტები. მწვანე არეალების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მენტალურ საჭიროებას, დეკორატიული მცენარეები და საგზაო მონაკვეთებს შორის გაშენებული ბაღები არ არის საკმარისი. ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე სკვერები ხშირად გადატვირთულია, შესაბამისად, დასვენების და რეკრეაციის ფუნქციას კარგავს.

წარსული გამოცდილების და აწმყოს გადაზრება ორ კითხვას აჩენს: როგორ მოქმედებს ქალაქი მის მოსახლეობაზე? როგორ მოქმედებენ მოქალაქეები მასზე? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ერთ-ერთი გზა პრიორიტეტების გამოკვეთაა. რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი: შინაგანი მდგომარეობა, განწყობა, ესთეტიკა, თუ საცხოვრებლის ფართი? შენობების გარეგნული იერსახე, უსაფრთხოების ნორმები, თუ ინტერიერის შელამაზება? ეკოლოგიური მდგომარეობა, თუ ცენტრთან სიახლოვე? ჩაკეტილობა, თუ რეკრეაციული ზონების და მწვანე სივრცეების მატება?

ქალაქთან მოსახლეობის სიახლოვის დაკარგვის საფრთხე ყოველდღიურად იზრდება. ესაა აწმყოსა და მომავლის მთავარი გამოწვევა, რასაც დროული რეაგირება და კრეატიული გადაწყვეტილებები სჭირდება.